

ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს იურიდიულ,
სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომის

ოქმი N 9

ქ.ვანი, თავისუფლების ქ. N65

20 აგვისტო 2019 წელი
12 : 00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ კომისიის წევრები: გელა ჩიკვაძე, გიორგი ივანიაძე, შალვა ლორთქიფანიძე, კობა ტოხვაძე, ვარლამ გიორგაძე, გელა ვარდოსანიძე, ოლეგი მიქელთაძე, რამაზ არველაძე, თამარ შენგელია.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრთა ხელმოწერების სია თან ერთვის.

/დანართი N1/

მოწვეული პირი :

ვანის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკისა და მუნიციპალური ქონების მართვის სამსახურის უფროსი -
ზვიად კაპანაძე.

კომისიის სხდომის თამჯდომარე - გელა ჩიკვაძე (კომისიის თავმჯდომარე)

კომისიის სხდომის მდივანი - საკრებულოს აპარატის იურიდიულ და საორგანიზაციო განყოფილების უფროსი
სპეციალისტი საოქმო წარმოების საკითხებში - **ლუბა კიკაბიძე**

დღის წესრიგი

1. ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა - ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ .

მომხს: გელა ჩიკვაძე

2. ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხს: ზვიად კაპანაძე

გადაწყვეიტეს: დღის წესრიგი მიღებულ იქნა წარმოდგენილი სახით.

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა კომისიის წევრებს გააცნო დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა - ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ .

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით არის ხარვეზები, რომელიც საჭიროებს შესწავლასა და გასწორებას, ამიტომ კომისიას მიზანშეწონილად მიაჩნია, რომ ეთხოვოს საკრებულოს ბიუროს აღნიშნული საკითხის განხილვა გადაიდოს სექტემბრის თვეში გასამართ მორიგი საკრებულოს სხდომისთვის.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება წარმოდგენილი დადგენილების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ადმინისტრაციულ სამართალდარღვევებზე საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსით გათვალისწინებული საჯარიმო სანქციების გამოქვეყნებისა და ადმინისტრაციული სამართალდარღვევათა ოქმის ფორმის, მისი წარმოების, გამოყენების, აღრიცხვა - ანგარიშების წესის დამტკიცების შესახებ ინფორმაცია გავიდეს ბიუროს სხდომაზე განსახილველად.

/დანართი 2/

მოისმინეს :

დღის წესრიგის პირველ საკითხთან დაკავშირებით მომხსენებელმა ზაზა ოჩხიკიძემ (მომხსენებლის ზვიად კაპანაძის საპატიო მიზეზის არ ყოფნის გამო) კომისიის წევრებს გააცნო განკარგულების პროექტი - ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე.

მომხსენებელმა აღნიშნა, რომ საქართველოს მთავრობის 2014 წლის 8 დეკემბრის N669 დადგენილებით დამტკიცებული მუნიციპალიტეტის ქონების პრივატიზების, სარგებლობისა და მართვის უფლებებით გადაცემის, საპრივატიზებო საფასურის, საწყისი საპრივატიზებო საფასურის, ქირის საფასურის, ქირის საწყისი საფასურის განსაზღვრის და ანგარიშსწორების წესების“ 22-ე მუხლის პირველი, მე-2 და მე 4 პუნქტების შესაბამისად,

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერს ქ. ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ

ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე და შესაბამისად ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ვანის მუნიციპალიტეტის გამგებლისთვის ქ. ვანში თავისუფლების ქუჩაზე მდებარე სამუსიკო სკოლის შენობის პირველი სართულის ა(ა)იპ „საბავშვო ბაღების გაერთიანება“-ზე უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემის თაობაზე“ ვანის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 6 თებერვლის N29 განკარგულება.

კომისიის წევრების მხრიდან წარმოდგენილ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ დაფიქსირებულა.

კომისიის თავმჯდომარემ წარმოდგენილი საკითხი დააყენა კენჭისყრაზე.

მომხრე - 9

წინააღმდეგი - არცერთი

დაადგინეს:

მიეცეს თანხმობა ვანის მუნიციპალიტეტის მერისთვის ქ.ვანში, თავისუფლების ქუჩაზე მდებარე მუსიკალური სასწავლებლის შენობის (ს/კ 31.01.26.240) პირველ სართულზე არსებული 391,23 კვმ ფართიდან, 179,49 კვმ ფართის ა(ა)იპ „ვანის მუნიციპალიტეტის საზოგადოებრივი ჯანდაცვის ცენტრისთვის“ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით, პირდაპირი განკარგვის წესით გადაცემაზე თანხმობის მიცემას.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხის ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

გელა ვარდოსანიძე

საკრებულოს იურიდიულ, სამანდატო,
საპროცედურო საკითხთა და ეთიკის
კომისიის სხდომის უზუცესი წევრი